# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 27

„18" თებერვალი 2020 წ

ქ. თბილისი

**სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლისთვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-4[1] მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

2. მიეცეს თანხმობა სსიპ ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლის დირექციას და სამეურვეო საბჭოს, რომ აღნიშნულ სკოლას მიენიჭოს ჟიული შარტავას სახელი და სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ თბილისის №62 საჯარო სკოლა".**

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე